

ფასი 30 აგვისტო

№ 35 — 1915

მ. ი. უ. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე

მათი უდიდებულესობის მოადგილედ და კავკასიის ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნული 23 აგვ. 25 აგვ. საღამოს 6 საათზე გამოემგზავრა საქართველოს.

№ 35
შინაარსი

1 **მეთაური**—დასი გვინდა! 1
2 **თ. მაღაროელი** კმარა ბატონებო!.
3 **ქნარი**—*** ლექსი. 3
4 **რემონიძე**—ძმა „
5 **გ. ქუჩიშვილი**—ორი სურათი 5
6 **შალვა დადიანი**—დასის მოგზაურობა „
7 **იასე რაჭველი**—ოსმალეთი და საქართველო 7
8 **პ. ირეთელი**—ბედნიერი დღე „
9 **იოსებ არიმათიელი**—გამოსადეგი ცოდნა ანუ პირველი ქართული სკოლა 9
10 **ზ. ედილი**—ავი თვალი, ამბავი 11
11 **კიკნა-ფშაველა**—იპვნეული ანგელოზი 13
12 **მიხ. აბრამიშვილი**—ღამის მგოსანი „
13 **შალიკაძე**—„განათლებულნი“ 14
14 **ქართული სახიობა** „
15 **წვრილი ამბები** „

1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

სამშობლო

ფასი: ერთი წლით 8 მან. ნახევარწლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ- დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაუ- რიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს. წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის მისამართით: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა. გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დაპატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე. სთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეიდის ბრ. № 131

საუტხოვო საზაფხულო როტონდით, სტენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბადით.

კვირას, 30 აგვის.	**კონცერტი** ივ. სარაჯიშვილის მონაწილეობით
ორშაბათს: 31 აგვის.	**საზანდარი**
სამშაბათს 1 ენკენ.	**რუსული წარმოდგენა**
ოთხშაბათს 2 ენკენ.	**ქართული წარმოდგენა,**
ხუთშაბათს 3 ენკენ.	**საბავშო სალამო: სიმებიანი ორკესტრი**
პარასკევს 4 ენკენ.	**საზანდარი; სინემატოგრაფი**
შაბათს 5 ენკენ.	**კონცერტი**
კვირას 6 ენკენ.	**მალოროსიული დასის წარმოდგენა**

დასაწყისი სალამოს $8^1/_2$ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცნი იხდიან, —30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ.

წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—$8^1/_2$ ს., საბავშვო სალამო—5—9 ს.

№ 35

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 35 ᲙᲕᲘᲠᲐ, 30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1915 Წ.

30 აგვისტო

დასი გვინდა!

მგელი მოჰკლეს, მაგრამ სამგლეთი კი არ ამოვარდნილაო, ნათქვამია!..

თანამედროვე ომმა ხელოვნების თავისუფალ განვითარებას ბევრი ზიანი მიაყენა, მაგრამ თვით ხელოვნება-კი ვერ ჩააქრო...

კერძოდ ჩვენი სათეატრო ხელოვნება კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა: თბილისში უმთავრესად სათეატრო დარბაზის დაწვით, ქუთაისსა და ბათომში-კი ხალხის ნივთიერი გაჭირვებით...

თბილისისა და ქუთაისის დრამ. საზოგადოებანი წელს დასებს ველარ იწვევენ: სეზონის ხარჯებს ვერ გაუძლებთო...

სათეატრო ხელოვნებას ისევე ქართველი მსახიობი უნდა გაუძღვეს საკუთარის ძალღონით, ისე-კი რომ უაპეკუნობა არ შეეტყოს: დასდგას იდეური და მხატვრულ-ხელოვნურად უნაკლოდ მოწყობილი წარმოდგენები,—ემსახუროს უმთავრესად მელპომენას და არა მამონას..

ქართული თეატრი თუ როდისმე ესაჭიროებოდა ქართველებს,—ეს დღეს კიდევ უფრო საჭიროა...

ამიტომ დასები ახლავე უნდა შესდგეს როგორც თბილისს, ისევე ქუთაისსა და ბათომში, განსაკუთრებით ბათომში. (ბაქოში უკვე სდგება ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან დრამ. წრის მუყაითობით)..

თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული წარმოდგენების მრევლი, როგორც მუდამ ახლაც დემოკრატიაა,—მდაბიო ხალხი, წვრილ-ვაჭარნი და მოსწავლენი,—და ამიტომაც ყოველი ქართული წარმოდგენაც ამ ხალხის სულიერ მოთხოვნილებასა და ჯიბის ძალას უნდა შეეფერებოდეს: იდეური პიესები ხელმისაწვდენ ფასებში...

წარმოდგენების რიგიანად მართვისა და იდეური რეპერტუარის წარმოებისთვის დასს ნივთიერი დახმარება დასჭირდება და ამისი შოვნა-კი დრამატიულს საზოგადოებათ უნდა იკისრონ...

ქართველმა მსახიობმა შეგნებით უნდა ატაროს ხალხის გათვითცნობიერების დროშა და თავისი დვაწლიც თვისი თავგამოდებული შრომით განამტკიცოს...

კმარა ბატონებო!

(ჩვენი დეპუტატების გარშემო)

ქართველი საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. პირველი სიტყვით, მწერლობით თუ სქმით სცდილობს მიწასთან გასწოროს დირსება და მოქმედება ჩვენი დეპუტატებისა.

მეორე სცდილობს ამაღლოს, „ცამდის ასწიოს“, თითქმის გაადმერთოს, მოქმედება, საქციელი და დირსება მათი სახელმწიფო საოთხბირში.

თუ ამ გზით ვიარეთ, შეთანხმება, რომელიც ასე საჭირო ჩვენთვის, ვერასოდეს მოახდება.

ამ კამათს ბოლო უნდა მოეღოს...

ორი თუ სამის თვით ადრე, მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ სახელმწიფო საოთხბირო უნდა მოეწვიონთ.

რას აკეთებდნენ სათათბიროს მოწვევამდე ისინი, ვინც ასე თავ-გამოდებით იცავენ ქართველ ერს და საქართველოს?!

როდესაც სახელმწიფო სათათბიროში ესტების, ლატიშების, ებრაელების, პოლონელების, სომხების, მუსულმანების და სხვათა ერების დეპუტატებმა მოთხოვნილება წარუდგინეს მთავრობას, განაცხადეს: ჩვენმა ერმა დაგვავალაო.

მაშასადამე, იმ ერებს, რომელთა დეპუტატებმაც მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინეს, წინასწარი მოლაპარაკება ჰქონიათ და თავიანთი გადაწყვეტილების განხორციელება დეპუტატებისთვის დაუვალებიათ.

ჩვენი დეპუტატები არ არიან უცოდველნი. შესაძლებელია, ისე არ იქცევიან, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ერის ინტერესები, მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენს დეპუტატებს არა სწამთ არც საქართველო და არც ქართველი ერი — ეს სიმართლეს მოკლებულია.

როდის იყო, რომ ჩვენს დეპუტატებს მიაწოდეს საბუთები, მასალა, დაავალეს ამის შესახებ ხმის ამაღლება სათათბიროში, და მათ ზურგი შეაქციეს ჩვენს თხოვნას?

არასოდეს!

აგერ, ბ. ჩხენკელს მიაწოდეს საბუთები, მასალა ილორის ეკლესიის და მღ. მაჯგანაძის შესახებ. ჩვენმა დეპუტატმაც ამოიღო ხმა!

საქართველოს ექსარხოსმა პირდაპირ სთხოვა ჩვენს დეპუტატს: — „ნება მიბოძეთ თქვენი დახმარების იმედი ვიქონიო“-ო.

ჩვენა გვრწამს, რომ ბ. ჩხენკელი თავ-გამოდებით დაეხმარება ექსარხოსს.

არა, ბატონებო, ჩვენს დეპუტატებს სწამთ, უყვართ საქართველო, ქართველი ერიც და იგინი უფრო ჭეშმარიტი ქართველები არიან, ვინემ ჩვენ, რომელნიც ჩვენს ქართველობას მხოლოდ უზრუნველობით, სინამდვილის შეუგნებლობით, ფრაზებით, ყვირილით და ერთმანეთის ლანძღვა-გინებით ვიჩენთ.

აი მაგალითად:

გაზ „საქართველოს“ მე 70-№-ში დაისტამბა ფრიად საყურადღებო წერილი ბ. ი. ოქროშვილისა: „მამული გველუპება!“

როგორც მოგეხსენებათ, მილიონერ ლიანოზოვს იჯარით აუღია შირაქი (რამოდენიმე ასი ათასი დესეტ. სახელმწ. მიწაწყალი) სანავთობურაოების დასადგმელად. მუშაობის დასაწყობად კი განუზრახავს აქ დაასახლოს ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხობა... შირაქი თუშ-ფშავ-ხევსურთა და ქიზიყელთა მასაზრდოებელია...

ვინ იქნება დამნაშავე, რომ ბ. ლიანოზოვმა სისრულეში მოიყვანოს თავისი ეს განზრახვა და თუშ-ფშავ-ხევსურნი და ქიზიყელნი უმიწა-წყლოდ დასტოვოს!

ჩვენ თუ ჩვენი დეპუტატები?

რასაკვირველია, ჩვენ და მხოლოდ ჩვენ!

მაგრამ, ჩვეულებრივად, ჩვენს დანაშაულობას თავზე მოვახვევთ ჩვენს დეპუტატებს; „რატომ ლიანოზოვის საქციელზე ჩვენმა დეპუტატებმა ხმა არ ამოიღესო!“

ბატონებო, შეაგროვეთ ამ საკითხის შესახებ დაწვრილებითი მასალები, დასწერეთ დასაბუთებული მოხსენება, დროზე გაუგზავნეთ ჩვენს დეპუტატებს და დაავალეთ ჩვენი ერის გათელილი უფლებების აღდგენა-დაცვა.

თუ ჩვენმა დეპუტატებმა უყურადღებოდ დასტოვეს ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა, ხმა არ ამოიღეს სათათბიროში და ჩვენი ერის ინტერესები არ დაიცვეს, აი მაშინ უფლება გვაქვს გავკიცხოთ იგინი...

და ასე უნდა მოვიქცეთ ყოველთვის...

გვეყოფა ერთმანეთის ლანძღვა-გინება!

ცალიერი ფრაზები ვერ მიანიჭებს ბედნიერებას ჩვენს ერს.

სიტყვა—საქმედ უნდა ვაქციოთ.

მჭიდრო კავშირია საჭირო. საჭიროა ქართველი ერის ორგანიზაცია.

ვინ უნდა შეჰქმნას ეს ორგანიზაცია!

ვინ უნდა იდვას თავს ეს საქმე?

— ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ.

ამ საზოგადოებამ უნდა ადევნოს თვალყური ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრებას, აქ უნდა იყრიდენ თავს ჩვენი ერის საუკეთესო მოღვაწენი მიმართულების გაურჩევლად.

ამ საზოგადოებას უნდა ჰყავდეს საქართველოს ყველა დაბა-სოფელსა და ქალაქებში თავისი წარმომადგენელნი და იგინი დროით უნდა აწოდებდენ ამ საქველ-მოქმედო საზოგა-

მგოსანი კ. ჯიჯინაძე
სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

***

ვუძღვნი მეგობარს კ. ჯიჯინაძეს

კვლავ აცილებენ მშობლები
ომში მიმავალ შვილებსა,
გაპარტახებულ მხარეში
ვაებით გამოზრდილებსა...

—

და შენც მზადახარ, რომ მათთან
გაფრინდე, გაინავარდო,
მე კი აქ უნდა დავრჩე და
ყოველ დღე შენზე ვიდარდო!..

ქნარი

დოებას უოველსავე ცნობს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ეს საზოგადოება-კი შეგროვილ მასალას ჩვენს დეპუტატებს უნდა აწვდიდეს.

და, აი, როცა ჩვენ ამას განვახორციელებთ მაშინ, ეჭვს გარეშეა, ჩვენი დეპუტატები, ანგარიშს გაუწევენ ამ მოგდენას, და საკვლდებულოდ ჩასთვლიან დაიცვან ის---რასაც ეს საზოგადოება დაავალებს.

ასეთი ორგანიზაცია თვით ჩვენ დეპუტატებსაც ხელს შეუწყობს, ვინაიდან მაო ეტოდინებათ ვის, რომელ საზოგადოებას მიჰმართონ რომელისამე საკითხის შესახებ ცნობების და საბუთების მოსაწოდებლად.

ხოდო **სანამ** ჩვენ არ შეგკავშირდებით ერთ დროშის ქვეშ, სანამ ერთი მთლიანი ორგანიზაცია არ გვექნება, ჩვენს ხალხთან დაკავშირებული არავითარი—არც ზნეობრივი, არც იურიდიული,—უფლება არა გვაქვს გავიცხოთ, მიწასთან გავასწოროთ, ან და ცამდე ავამაღლოთ, „რომის უტოდველ ბაბად“ გამოვაცხადოთ ჩვენი დეპუტატები... **თ. მაღაროელი**

ძმა

I

. . . . . .

— მე არ მოგცემ ნებას, რომ შენ მამიჩემის ნაყმევის შვილს გაჰყვე ცოლად.. გესმის... არ მოგცემ ამის ნებას!

— კოტე! მაკვირვებს შენი საქციელი.., შენ ხომ განათლებული კაცი ხარ... საზოგადო მოღვაწედ ითვლები! სად ნამდვილი სიყვარული და სად შინაყმობა! მე თუ კი მიყვარს და კმაყოფილი ვიქნები, შენ რა გენაღვლება? მე მას ბავშობიდან ვიცნობ და მიცნობს. ერთი წელი კიდევ და მასწავლებელი იქნება. მე კი წელს მაძლევენ მასწავლებლობის ალაგს. მეც და მასაც ძალიან მოგვწონს ეს კეთილი საქმე, აქეთკენ არის ჩვენი მისწრაფება და ამიტომ მე უკანასკნელად გთხოვ, ნუ დამიშლი კაკოს ამხანაგობას, ტყუილად ნუ მაწყენინებ...

— **Никогда**... ქალებს ჭკუა თვალში გაქვთ. ჩემი სიძე უმაღლესი ნასწავლი უნდა იყოს. ჩვენს ოჯახს არ შეშვენის ღარიბი გლეხის შვილი სიძედ, არა. რას იტყვის ქვეყანა! დემოკრატი ოჯახში!.. ღმერთმა დამიფაროს. ტყუილად არ მაწყენინო, მე მაგის ნებას არ მოგცემ.—ხმის ამაღლებით და თვალების ბრიალით უთხრა კოტემ თავის დას და გულმოსულმა ქუდს ხელი დაავლო.

— კოტე! რა-კი ასეა, მე გადაჭრით გეუბნები, კაკო ჩემი საქმროა...

— მე-კი გადაჭრით მოგახსენებთ, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ის ჩემს ოჯახში სიძედ ვერ შემოვა.—ძალზე გაჯავრებით და ხმის კანკალით უთხრა კოტემ სოფოს და ოთახიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

II

ოხ, ღმერთო! რა უნდა მოვსთხოვო შეუგნებელ მშობლებს, როცა ჩემი შეგნებული ძმა ასე მექცევა!.. როგორ მინდოდა კაკოსა და კოტეს შორის კარგი განწყობილება ყოფილიყო... მაგრამ რა ვქნა, რომ აღარ ხერხდება. . ჩემი კაკო, ჩემი თაუსელე ბიჭი... იმან ეს ადრე მისიზმრა: შენი ძმა მაღლა იჭერს თავს, შეიძლება ნება არ მოგ-

ცეს ჩემთან ამხანაგობის, შენ-კი ძმის დაკარგვა შეგაწუხებს და ამიტომ ისევ შორეული მეგობრები ვიყოთო. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ რომ ჩემით დაიტანჯო, ძმა დაკარგო, არც ეს მინდა, ვაი თუ მერე ინანოვო. არა, ჩემო კაკო, სიყვარულში და ქმრის არჩევაში ძმას და მშობლებს არაფერი საქმე აქვთ მე ვინც მიყვარს და ვუყვარვარ, იმას წავყვები, მორჩა და გათავდა. შენ ჩემი ხარ, ჩემი ხარ, ჩემი.

ამ სიტყვებით მაშომ კაკოს სურათი გულში ჩაიკრა.

კოტე კი გაბრაზებით მიაბიჯებდა ქ. №-ის ქვაფენილზე:

— სალახანა, სალახანა, საძაგელი... სად ის, სად ჩემი და... კაცები ხომ არ დალეულა ქვეყანაზე... მაგრამ მართლა, რომ გაჰყვეს... მაშინ ხომ გატყდა ჩემი სიტყვა!..

ამ ფიქრით გართული ქალაქის ბაღში შევიდა. აქ ყმაწვილების გუნდში შენიშნა კაკო, რომელიც გაცხარებით ეკამათებოდა ამხანაგებს თანამედროვე კითხვაზე:

— ხალხმა თითონ უნდა უპატრონოს თავის თავს... დღევანდელი ჩვენი მყვირალა ინტელიგენცია, რომელშიაც ნამდვილი ჭეშმარიტი მოღვაწე ასში ორი არ იქნება, ვერაფერს გახდება, თუ ხალხი არ შეინძრა და თვალი არ გაახილა!—ისმოდა კაკოს სიტყვები.

— მე შენ გაკამათებ... ამით მოხიბლე შენ ჩემი და!.. ვერ მოგართვი... ან შენ — ან მე.

გაიფიქრა კოტემ, ბაღიდან უკან გამობრუნდა, იქვე აფთიაქში შეუხვია და ნახევარი საათის შემდეგ-კი ისევ ბაღში გაჩნდა.

ბაღი მშვენივრად იყო გაჩირაღდნებული. ურიცხვი მოსეირნე ქალ-ვაჟნი, ათასფერად აზიზილპიპილებულნი, უზრუნველად სეირნობდენ. ისმოდა უდარდელი სიცილ-კისკისი: ვინ ვისი გულის ნადებს უშლიდა, ეკათინაურებოდა. ყველას სახეზე მხიარულობის ღიმი უკრთოდა. მოწყენა ემჩნეოდა მხოლოდ კაკოს. ის ეხლა ერთ ალაგას იდგა, მარტოდ მარტო. ცალ ხელში წიგნი ეჭირა, მეორე ხელით კი ახლად აკოკრებულ ულვაშებს დაჟინებით იგრეხდა, თუმცა საამისო ჯერ არაფერი ქონდა, თან ვიღაცას ყძებდა თავისი შავი გონიერი თვალებით, მარა ერთ არსებაზე ვერ შეჩერებულიყო.

— „ალბად ცუდათ არის საქმე, კოტე წინააღმდეგია ჩვენი ცოლქმრობის... მიტომ აღარ გამოჩნდა ჩემი სოფიკო.“

ამ ფიქრებში იყო ის გართული, რომ უცებ კოტეს მოჰკრა თვალი და ცეცხლივით აენთო, გულმა ბაგიბუგი დაუწყო. არამც თუ სოფოს ძმა, ამხანაგი რაა, მეზობელი რომ ენახა კაკოს სოფიკოსი, მაშინაც გული სიამოვნებით აუძგერდებოდა... თუმცა ამ ჟამად სიძულვილი და სიყვარული ერთმანეთში აირია, რადგანაც არ იცოდა გადაჭრით, კოტე რა აზრის იყო „მაზე. მაგრამ როცა კოტემ შენიშნა ის და ღიმილით მიესალმა, თან ცოტა ხნის შემდეგ მახლობელ სარძევეში რძის სასმელად მიიწვია, კაკო სიხარულით აივსო, ნეტარების ჟრუანტელმა დაუარა. ასეთი ქცევა კოტესი ნათლად მოწმობდა, რომ საქმე სასურველად იყო დაგვირგვინებული, უკვირდა მხოლოდ, რომ სოფომ ასე დაგვიანა მისი ნახვა.

რძის მირთმევის შემდეგ კოტე და კაკო მალე მოშორდენ ერთმანეთს. კაკოს კვლავ ბაღში უნდოდა შესვლა და საყვარელი სატრფოს ნახვა, მაგრამ უეცრად რაღაც სისუსტე იგრძნო, გული აერია და თვალები დაუბნელდა; სახლისაკენ გაეშურა, შინ მისვლა კი ვერ შეძლო, გზაში ჩაიკეცა. ამხანაგებმა მხარით მიიყვანეს... დედამ მას ვეღარაფერი გაგონა. მისი ნაღვლიანი და ცრემლით სავსე თვალები ვიღაცას ეძებდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა აღარ ემორჩილებოდა.

ერთი საათის ტანჯვის შემდეგ კაკომ მოხუცი დედის მკლავზე დალია სული...

— საქმელში რაღაც ჩაჰყოლია, ნახევარი საათით ადრე რომ მომესწრო, გადავარჩენდიო — სთქვა ექიმმა.

მოხუცი დედის სიბრალული და სოფოს ქვითინი ქვასაც კი ააცრემლებდა...

III

„საყვარელო დაიკო მარო! მადლობელი

ვარ მოგონებისთვის. ან რა საკითხავი ვარ მე, კაკოს მკვლელი... ის ხომ ჩემი მსხვერპლი შეიქნა... მუდამ ერთ ალაგას ვარ ჩაკეტილი მონაზონივით. ის აღარა ვარ შენ რომ გახსოვარ... გამხდარი, გაძვალტყავებული... ჩემი გრძელი თმები, კაკოს რომ ისე მოსწონდა, გვიკრიჭე. აღარაფერი მახარებს, ყველაფერი შემძულდა და თუ ვცოცხლობ, ეს ჩემი მოწყალეების წყალობით, კაკოს უყვარდა ეს საქმე და სულ იმას მეუბნებოდა: „წავიდეთ სოფელში და ორივე ერთად ვემსახუროთ სახალხო საქმესაო.“ მეც ვითომ რაღაც მინდა გავაკეთო, მაგრამ ნაძალადევია ყველაფერი... ჩემმა „კეთილის მყოფელმა“ ძამიამ ასე ინება... უდანაშაულოდ, უსინდისოდ მოსპო ორი ადამიანი... ჩემი და ჩემი კაკოს ცოდვა მას. . მშვიდობით, ჩემო საყვარელო დაიკო შენი ძალად გაუბედურებული სოფიკო.“

აი, რას წერდა სოფო ერთი წლის შემდეგ თავის მამიდაშვილს მაროს.

ს. რემონიძე

ორი სურათი

საგანგებო დილაა, დილა გაზაფხულისა,
წყაროსავით ჩუხჩუხებს გრძნობა სიყვარულსა

ყვავილებით ირთვება მდელო მინაზებული,
ნეტარებით ივსება ყველა გალაღებული.

მხოლოდ შრომის სამეფო ისევ ისე გრიალებს,
ტანჯულთ ცრემლი და ოფლი ერთმანეთში წკრიალებს.

პროვინციის სცენის მოღვაწენი

ვასილი აბრამის-ძე ხოზბერაშვილი

ხაშურის სცენაზე მუშაობა დაიწყო 1904 წ. ნაკისრ როლებს ნ ჭიერად ასრულებს. ხშირად ქართულ გუნდსაც ლოტბარობს ხოლმე ჰიესებში. 30 აგვ. ხაშურის ქართ. დრამ. წრის გამგეობა უმართავს საბენეფისო წარმოდგენას.

ნ. გურული

დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 34)

(ყველამ კარგად იცოდა, თუ რა პასუხსაგები თანამდებობაც იყო რეჟისორობა და ასეთ ძნელ საქმისთვის ღირსეული ვერავინ გამოეძებნათ.

ერთმა, ორმა მაშინვე წამოიძახა სოსო იყოსო. მაგრამ ამის წინააღმდეგი თვით სოსო გახდა.

ზოგს გაუკვირდა. ზოგიც შეეხვეწა. სკვინჩაძემ ისიც კი უთხრა—რას ინაზებიო, მაგრამ სოსომ ვრცელი სიტყვის შემდეგ ყველას ვარლამზე მიუთითა.

აქ ვარლამიც განაზდა. ზოგმა წამოიძახა—ფარულა ხმები შემოვკრიბოთო, მაგრამ სოსო ამისიც წინააღმდეგი გახდა:

— ჩვენ შორის არ არის საჭირო ფარულ ხმების შემოკრებას დავეჩვიოთ. ჩვენ პირდაპირ და თამამად უნდა გადავჭრათ ჩვენი საკითხები. აქ თუ მე მითხრეს რათ ინაზებიო, ეს წედანაც დაგიმტკიცეთ, მგონია, რომ ჩემი უარი განაზებით არ მომდის... მე არა ვარ მაგ საქმისთვის მომზადებული. . საზოგადოთ ქართველებს რეჟისორები არც კი გვყავს, ასეთი შეიძლება შემდეგში გაჩნდეს, სრულიად ღირსი ამ სახელისა...

მაშ ჩვენ შორის კიდევ უფრო გასაჭირია რეჟისორის არჩევა...

— მაშ სულ ურეჟისოროდ ვიყოთ!— წამოიძახა ანდრომ.

მაგრამ ყველამ სიცილი დააყარა. სოსო კი განაგრძობდა:

— ძნელია-მეთქი, მაგრამ ჩვენ შორისაც შეიძლება უფრო შესაფერი გამოვძებ-

ნოთ და ამისათვის არ უნდა დაგვეჭირდეს ფარული ხმის შემოკრება. ესეთი შესაფერი კი ჩვენ შორის, ვიმეორებ, უსათუოდ ვარლამია. იგი, ერთი რომ, დიდი ხანია სუფლიორობს. ეს კი ბევრ რასმე ნიშნავს. უსათუოდ მას ბევრ ჩვენზე უფრო კარგა შეთვისებული აქვს სასცენო მოხერხებულება. იცნობს ბევრს პიესას, მაშასადამე სხვაზე უფრო კარგა აქვს წარმოდგენილი როლების ფსიხოლოგიური და ფიზიკური სად-რაობა; ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენზე უფრო ზოგიერთი მიზანსცენაც მას უკეთ არ ჰქონდეს გათვალისწინებული ერთის სიტყვით ეგ უფრო შეტოპილია სცენის შინა მხარეებში და ყველა ამას გარდა ეგ კაცი კითხულობს სხვადასხვა სათეატრო წიგნებს, ზოგიერთ სახელმძღვანელოებსაც, სპეციალურ ჟურნალ-გაზეთებს ხომ ყველამ ვიცით, როგორთაც თვალ-ყურს ადევნებს... ამას გარდა და უმთავრესი კიდევ ის არის, რომ ჩვენ ყველანი ვენდობით და მისი პატივის ცემა გაქვს. მაშ ჩვენც გავითვალისწინოთ ყოველივე ეს მისი ღირსება და პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენ შორის, დღეს-დღეობით, ყველაზე უფრო შესაფერი რეჟისორი ვარლამია...

კვლავ ყველანი ახრიალდნენ. მხოლოდ ამაღლობელი როგორღაც მობუზული იჯდა.

ეს შეამჩნია სოსომ და გულს რაღამაც რეჩხი უყო.

— ნუ თუ ამაღლობელს ეწყინა, რომ ის არ დავასახელეთ? — გაიფიქრა სოსომ. — საკვირველია! განვითარებული ყმაწვილი, სათეატრო საქმის ამდენად მოყვარული და როგორ ვერ მიმხვდარა, რომ დღეს ყველას სარეჟისორო ვარლამი გვჯობია... რა ვუყოთ, რომ ამაღლობელი მოსკოვში იყო და სამხატვრო თეატრი ნახა... ბევრი რამ წვრილმანი სასცენო საქმისა ვარლამმა უკეთ იცის, ვიდრე ამაღლობელმა.

ფიქრობდა ასე სოსო, მაგრამ ეს ნაფიქრი აღარ წარმოთქვა. შეიძლება ამითი საქმეში უარესი აურ ზაური შევიტანოვო.

მხოლოდ საერთო ხრიალში სკვინჩაძეს გაუზიარა:

— ის კი არა, მე მგონია, რომ ყოველი სუფლიორი ცოტაოდნად რეჟისორიც უნდა იყოს. აარა, იმიტომ კი არა, რომ, როგორც ეს ხშირად მომხდარა ჩვენს თეატრში, მისი ხუფიდან წრმოდგენის დროს მსახიობს უჩვენოს მიზან-სცენები, ტირილ-სიცილი, სცენიდან გასვლა და სხვ. არა! იმიტომ, რომ ხანგრძლივ რეპეტიციები — მეცადინეობა, პიესის თავ-მობეზრებამდე შესწავლა, ყოველი წვრილმანის დახსომება, ძალა-უნ ებურათაც უნდა არეჟი'ორობდეს მას...

სკვინჩაძე სერიოზულად ყურს უგდებდა.

სოსო კი თუმცა ამას ეუბნებოდა, თავში იმავ წამს სხვა აზრიც უფრთქიალებდა: შეიძლება ეს ჩემი მოსაზრება პარადოქსიც იყოსო.

საერთო ხრიალში კი მაინც ის გადაწყვიტეს, რომ ხმები ფარულად შეეკრიბათ.

ამანაც აწყენინა სოსოს, მაგრამ საერთო გადაწყვეტილებას მაინც დაემორჩილა მხოლოდ იმან კი ვაახარა, რომ ქალალდის პაწია ნაჭრების ჩამორიგების შემდეგ თვით მას მხოლოდ ორი ხმა და ვარლამს ოთხი რგებოდა.

ამ რიგად რეჟისორად სუფლიორი ვარლამი იყო არჩეული.

მაშასადამე სოსოს სიტყვამ გასჭრა. მხოლოდ გულში ის ჰქონდა ხინჯად: მაინც რათ იხმარეს ამ ექვსიოდე კაცმა, თითქოს ერთის აზრით, საქმის სარგებლობით გამსჭვალულებმა, ფარული წესი ხმის მიცემისა. სოსოს აზრით ეს არ იყო კარგი ნიშანი. ეს ახალგაზდობაც ძველ, გათელილ ბილიკს რჩეობდა.

შალვა დადიანი

(გაგრძელება იქნება)

ჯარისკაცი ერემია სოფრომისძე ურუშაძე
(მოკლულია გერმანიის ფრონტზე)

ოსმალეთი და საქართველო

(აჭარის დღევანდელ მდგომარეობის გამო)

I

მუხანათებს არ სძინავთ!

„ოსმალეთი“ უბრალოდ მითვისებული სახელ-წოდებაა. იგი, როგორც „ტერიტორია“, არ არსებობდა.

ოსმანლთა ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს: კასპის ზღვის რომელიღაც ნაპირიდან გამოჩენილა მოყიალე ურდო თურქებისა. ესენი ჯერ შესევიან მცირე აზიას, შემდეგ-კი დაუპყრიათ ბიზანტიის მთელი აზიის (ანატოლია) ნაწილი სკუტარამდე. (სკუტარი ნაწილია კონსტანტინოპოლისა).

ამ თურქთა და არაბთა შორის ხშირი ბრძოლა ყოფილა.

იმ ხანებშივე (XIII საუკ.) იმავე მიდამოში ჩნდება ახალი ძლიერი ურდო იმავე აზიელ თურქთა შორის და ეს ურდო გამოდის მოსარჩლედ მეომართა უფრო სუსტი მხარის— არაბებისა. ამ ურდოს მეთაური იყო ვინმე ოსმან.

და აი, ამ ოსმანის დახმარებით არაბთა მეფე მოლა-ჰუნქარ ოღლი—სძლევს სელჭუკ—თურქებს და ბატონდება მცირე აზიაში.

არაბთა წინასწარმეტყველის მუჰამედის ბრძანებით: „მუსულმანთა შორის, ვისი ხმალიც უფრო ძლიერა სჭრის, მეფეც ის უნდა იყოს“. ამ რწმენის მიხედვით მოლა-ჰუნქარ ოღლი თვითონვე უთმობს ოსმანს თავისს ტახტს და ამეფებს არაბ-თურქთა ზედა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, უფლებას ძალა იგდებს ხელში.

დღესაც ამ რწმენაზეა დამყარებული ის ხმები, რომ ენვერ-ფაშა სულტნად უნდა გამოაცხადონო. თუ მართლა სასწაული მოხდა და დღევანდელ ომში ენვერმა გაიმარჯვა, რომელიც, როგორც ვიცით საკუთრად მისი ინიციატივით არის დაწყებული, ადვილი შესაძლებელია, რომ ის სულტანი გახდეს, მით უმეტეს, რომ თუ დღეს ოსმალეთს ევროპაში კიდევ რამე აბადია, ეს მხოლოდ ენვერ-ფაშის მეოხებით არის.

ამნაირად, ოსმალეთი ჩნდება მხოლოდ ოსმანის გამეფების დღიდან. ვინ იყო ოსმანის წინაპარი, ეს არავინ იცის. მაშასადამე ვერავინ იტყვის, უტერიტორიო ხალხი ტერიტორიას ვერ შექმნისო.

ამიტომაც ქართველებს დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე თან და თან უცხოელები ესახლებიან და თუ კი უთვისტომო მოყიალე თურქთა ბრბომ ბერძნების ნაოხარზე უზარ-მაზარი ტერიტორია შექმნა, ვინ არის იმის თავდები, რომ იგივე არ გამეორდება ჩვენზედაც?.. მით უმეტეს, რომ ჩვენს მტრებს ამისათვის ყველაფერი ხელს უწყობს...

ჩვენ ვხედავთ, რომ მეგობრები არსადა გვყავს, მტერი კი ბევრი, რომლებიც თანდათან ახორციელებენ თავიანთ ჩუმს მიზანს.

რა ზომებს ხმარობენ ამისათვის ჩვენი მტრები,—ამაზე შემდეგ. ახლა-კი ჩვენი ვალია კარგად დავაკვირდეთ. როგორც ჩვენს, ისე ჩვენს მოძმე აჭარელთა მდგომარეობას, თორემ მუხანათებს არ სძინავთ .. *)

იასე რაჭველი

---

*) ეს წერილი, ჩვენს უნებლიეთ, გასული კვირ ს ნომერში ვერ მოთავსდა. **რედ.**

ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 34)

V

თებრო, სონა, ეგნატე, კოტე, სანდრო და გიორგი.

ეგნ. (დიმიდით მეგებება) მობრძანდით, მობრძანდით, ბატონებო!

სანდ. (მიესალმება ყველას.) მაპატიეთ, ბატონებო, რომ დავიგვიანე.

გიორ. (მიესალმება ყველას) მოულოდნელმა შემთხვევამ დაგვაგვიანა, იმედია, გვაპატიებთ.

ეგნ. დაბრძანდით, დაბრძანდით, დამნაშავე ხართ, მაგრამ რა გაეწყობა. (ყველანი დასხდებიან)

სანდ. (ხელცახოცს ინიავებს.) უჰ! რა ჯოჯოხეთი სიცხეა, აქ ნამდვილი სამოთხ



დაჭრილ მეომართა საზიდავი საკაცე

ინჟინერ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მიერ გამოგონილი

ყოფილა,

კოტე. ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი გაუთავებელი სიცხეები.

ეგნ. (სიცილით) სირცხვილ-ნამუსი სულ დავკარგე, ისეთი დღეებია. წარმოიდგინეთ ტანისამო'ი ველარ ჩამიცვამს,

თებ. (ეგნატეს) მართლა რომ დაჰკარგე სირცხვილ ნამუსი. ადექ ჩაიცვი „ტუჟურკა". მლვდელი ხომ არა ხარ ანაფორა რომ ჩაგიცვამს.

ეგნ. (დიმილით) რა უშავს, ჩვენები არიან. იმედი მაქვს არავინ დამძრახავს.

სანდ. (თებროს) ხომ კარგათ ბრძანდებით, ქალბატონო თებრო? (სონას) თქვენა, სონა?

თებრ. გმადლობთ, გახლავართ. ალარც თქვენ გვწყალობთ, ბატონო სანდრო, და ალარ დაიარებით ჩვენსა. გიორგი ხომ ორი თვეა ალარ მინახავს.

გიორ. (დიმილით) ველარ ვიცლით, ქალბატონო თებრო, თორემ იცოცხლეთ თქვენთან მოსვლა სასიამოვნო იყოს.

სანდ. (თვალს მოაჭყლებს ბადს) ერთი აქ ჯდომა რათ ღირს ვინ იცის, მაგრამ ამ დროს რა ვუთხრა.

ეგნ. (სწუხს კაივდ-კამოიგდის) ნეტა რა დაემართათ ასე რომ დაიგვიანეს. ახ, დიდება შენ ღმერთო. (მიგა სუფრასთან და ათვალიერებს)

კოტე (სანდროს და გიორგის) თქვენ რალა ჯანდაბამ დაგაგვიანათ? სად იყავით?

გიორ. (მოწყენით) ნეტა პირდაპირ აქ წამოვსულიყავით და არა მინდოდა-რა. სანდრო რომ კაცს აუხირდება, ხეირი არ დაეყრება. ხან აქეთ მათრია, ხან იქით და კიდეც დაღამდა გვაპატიეთ რომ ასე დავიგვიანეთ

ეგნ. (იცინის) რა ვუყოთ, ხან ასე იქნება და ხან ისე. (სონას) აბა ერთი, შვილო, დაუკარ რამე ცოტათი გაგვამხიარულეთ, თორემ სტუმრებმა მოიწყინეს.

გიორ.
კოტე.
სანდ. } (ეგეულანი ერთად.) გთხოვთ,

თებრო. ადექ შვილო, წადი და დაუკარ. (სონა წამ დგება და შეგა ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ კაისმის ბიანინოს ხმა ნელ-ნელა ეგეულანი ხმას ყოდებენ და საერთო სიმღერა გაიმართება, ცოტა ხნის შემდეგ ბიანინოს ხმა უცბათ შესწყდება და ზარის წკრიალი მოისმის)

სონა. (გამოგარდება. მოვიდნენ, მოვიდნენ! (გაიქცევა ისევ ოთახში)

ეგნ ეს უთუოდ აპოლონი და სალომე უნდა იყვნენ. (შემოუძღვება მეჯანო შემოდიან სალომე და აპოლონი)

პ. ირეთელი

(გაგრძელება იქნება.)

„განათლების საზოგადოების სკოლის დამფუძნებელ—მზრუნველნი
შუაში ა. მ. წერეთლი ა, მარცხნივ ე. გ. მესხისა, ვ. დ ქართველიშვილი მიქაბერიძისა
მარჯვნივ—ა. ი. პავლიაშვილი თიკანაძისა და ა. ა. ფალავასი. (ზოგის სურათი ვერ ვიშოვეთ)

გამოსადეგი ცოდნა ანუ პირველი ქართული სკოლა

განათლების“ საზ-ბის მიერ დაფუძნებული*)

გამოსადეგი ცოდნა!..

აი, რა სწყურიან ყველაზე უფრო მეტად ჩვენს ბედკრულ სამშობლოს.

ჩამორჩენის, გადაგვარებისა და ეროვნული კერის ჩანელების უმთავრესი მიზეზი, ვინ არ იცის, რომ სკოლების უკულმართობაა...

როგორ უნდა გაიფურჩქნოს მწერლობა, თეატრი და, საზოგადოდ ეროვნული კულტურა, როდესაც მისი საფუძველი—ანი და ბანი—არა მშობლიური იქნება?!

საქართველოს კულტურა მხოლოდ მაშინ ჰყვაოდა, ოდეს ყოველივე ეროვნულ ნიადაგზე ჰქონდა მოწყობილი...

მოიგონეთ ჩვენი ოქროს და ვერცხლის ხანები...

სადღაა დღეს ქართველის გონებრივი ბუმბერაზობა, დამოუკიდებელი აზროვნება? მთელ მეცხრამეტე საუკუნეში თუ ვინმე მოაზროვნე მოგვევლინებოდა ანუ დღეს არის ვინმე შესამჩნევი—უმთავრესად ეროვნულ ნიადაგზე, სიყრმიდანვე მშობლიურ ძუძუთი გაზდილი—ქართველი ხალხის ზეპირ თუ ძველი წერილობითი საგანძურით გაბრძმე დილი.

მთელის ქვეყნის მაღალ მოაზროვნე აღმზრდელ მასწავლებელნი, დიდნი პედაგოგნი ტყუ ლად კი არ გვიმოძღვრავენ, რომ სამშობლო ენა პირველი სახსარია წესიერი სწავლა-განვითარებისა...

ჩვენი ყოფა-ცხოვრება კი, სულიერ-ნივთიერი აღორძინება სწორედ ისეთ ჩარჩოებში მოექცა, რომ საკუთარი სახიერება თან და თან გაგვექრობოდა..

მაგრამ დღეის შემდეგ ასეთი ხელოვნური ჩარჩოები-ეროვნული სკოლის შევიწროვება რაოდენადმე მოისპობა, თუ თვითონ ჩვენც ხელი შევუწყეთ ისეთი სკოლების გახსნა-გამრავლებას, რომლებიც ჩვენი ერის საკუთილდღეოდ იქნება მოწყობილი...

გასულ **1914** წ. **1** ივლისს გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც ყოველ ერს ანუ საზოგადოებას შეუძლიან საკუთარი ხარჯით დაფუძნებული სასწავლებელი სათავისო გეგმით მოაწყოს და სწავლაც სამშობლო ენაზე შემოიღოს...

თქმა არ უნდა, ქართველი ხალხი ეროვნულ სკოლებს დაიარსებს, მაგრამ როგორ უნდა ვასწავლოთ ამ სკოლებში, თუ შესაფერი ქართული სახელმძღვანელოები და მშობლიურ ნიადაგზე აღზრდილ-გაწვრთნილი მასწავლებელნი არ გვეყოლებიან?..

„განათლების“ საზოგადოების გამგეობამ სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და თვის სკოლას მომავალ წლის ენკენისთვიდან უმატებს 4 კლასს—ჰხსნის ქართველ

*) ეს წერილი სამი კვირის წინად უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ სურათების გამო შეგვიანდა. ზოგიერთ სურათს ახლაც ვერ ვბეჭდავთ რადგან ვერ ვიშოვნეთ. რ ე დ.

ქალთა ბირველ ეროვნულ საოსტატო სემინარიას, რომელშიაც კურს დამთავრებულნი ქალნი მასწავლებლებად მოეფინებიან მთელს ჩვენს სამშობლოს—როგორც წ. კ. ს., აგრედვე კერძო თაოსნობით თუ მომავალ ეროვნებისაგან დაარსებულ ანუ სხვა სკოლებს...

ეს ბირველი ქართული სკოლა კიდევ იმითიც ღირსშესანიშნავი, რომ თვის ზღუდეთა შორის თავს უყრის ქართველი ღარიბი ხალხის ქალიშვილებს, გონებითი სწავლა განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის გარდა, ხელსაქმესა და ოსტატობას—მასწავლებლობას ასწავლის, ერთი სიტყვით—გამოსადეგ ცოდნას აძლევს, ცხოვრებისთვის ამზადებს, რომ ყოველმა ქართველმა ქალმა ოფლითა თვისითა და პატიოსანი შრომით მოიპოვოს ლუკმა თვისი

დიაღ, პატიოსანი შრომით!

და მერე განა მასწავლებლობაზე—ისიც სახალხო მასწავლებლობაზე—პატიოსანი შრომა კიდევ იქნება რამე?!

თუ ჩვენს ქვეყანას ჟამსა წარმართობისასა სუსტმა ასულმა, წმ. ნინომ მოჰფინა სხივი ახლისა სჯულისა, თუ წარსულში ოქროს ხანა შეგვიქმნა სამშობლო ნიადაგზე აღზრდილ-განბრძენილმა თამარ დიდმა, თუ შავთა დროთა ხანაში ჩვენს ერს წინ წარუძღვა ისევე მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენილ-განსპეტაკებული ქეთევან დედოფალი, რომელმაც ხელთ აიღო სკიპტრა ქვეყნის მფარველობისა, ერის სადიდებლად ეწამა და მით განამტკიცა ხასიათი ქართველი ქალისა,—დაე, დღესაც ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილ-განვითარებულმა ქალმა მოჰფინოს განათლების სხივი ჩვენს ბნელში ჩაფლულ სოფელს, ჩვენი უხასიათო თაობის ხასიათი გამოჰკვეროს და დღეს დაცემული ჩვენი ქვეყანა ფეხზე წამოაყენოს...

ისტორია მოუწოდებს ქართველ ქალს და მანც ხელთ უნდა აიღოს ლამპარი და სკიპტრა ერის განთლება-ამაღლებისა...

მაგრამ ეს ქალი იქნება არა მაღალ პალატებიდან, სრა-სასახლეებიდან, არამედ უმეტესად ღარიბთა კერიდან, ვითარცა მაცხოვარი დურგლის შვილი, ბაგაში მწოლარე...

ამის ნიშნებსაც უკვე ვხედავთ...

ამ ათიოდე წლის წინად თბილისში ქართველ ქალთა პატარა წრემ, ან. მ. თუმ. წერეთლის, კნ. ნინო პორ. ბარათაშვილის, ეკატ. გრ. მესხისა, ვ. დ. ქართველიშვილი-მიქაბერიძის, ანნა იაკ. პავლიაშვილი-თიკანაძისა, კნ. ალექსანდრა ალ. ფალავასი და სხვათა თაოსნობით ვერაზე გახსნა ალ. ყაზბეგის სახელობის სკოლა. ამ სკოლამ ბევრი გაჭირვება გამოიარა, ბოლოს დახურეს კიდეც, მაგრამ თავგამოდებულმა ქართველმა ქალებმა დააფუძნეს საზოგადოება „განათლება“, დახურული სკოლა ახალი სახით გახსნეს, შვიდი წლის კურსით, 1881 წ. პროგრამით, რომელშიაც განსაკუთრებით ქართველი ღარიბი ხალხის შვილები სწავლობდენ.*) ამ წლიდან. გამგეობის მეცადინეობით და საზოგადო კრების დადასტურებით, ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე იქნება, ხოლო მომავალი წლის ენკენისთვიდან ხსენებულ სკოლას საოსტატო სემინარიის კლასებიც მიემატება (თანდათანობით). მოწაფეებს რუსულშიც იმდენად გაწრვთნიან, რომ სახაზინო სასწავლებელში შესძლონ გამოცდის ჩაბარება და სხვა და სხვა სკოლებში მასწავლებლობა...

აი დიდებული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეში...

ეს საძირკველია, პირველი ქვა, რომელზედაც უნდა აიგოს და განმტკიცდეს ჩვენი ეროვნული თვითარსებობა და ბედნიერი მომავალი...

დიაღაც სრული ჰეშმარიტებაა „განათ-

*) ყაზბეგის სკოლისა და შემდეგ „განათლების“ საზოგადოების მიერ დაფუძნებულ სასწავლებლის წინსვლას ყოველის მხრით ხელს უწყობდენ, ზემორე ჩამოთვლილ პატივცემულ მანდილოსანთა გარდა—პ. მ. სარაჯიშვილისა, ნინო ბეე. ყიფიანისა, მარ. მიხ. ღოღობერიძისა, მაკრინე ფორაქიშვილისა, ნინო გრ. უკრეხელიძისა, კნ. ელ. კონსტ. ბარათაშვილისა, ქ-ნი ფაცი ლომინაძისა, მარიამ თავ. ვახტანგ მაჩაბლის ასული—სახელოსნო განყოფილებას განაგებდა მუყაითად, ექიმი ქალი მარ. კონ. იოსელიანი—უფასოდ კურნალობდა სკოლაში, საპატიო წევრი ბ-ნი იაკ. ს.-ზედგინიძე—ნივთიერი შეწირულების გარდა საოსტატო სემინარიის დაფუძნების საქმეშიდიდად შრომობდა, სოფიო და პეტრე მამრაძენი—საღამოების გამართვით და სხ. ხელს უწყობდენ და სხ. ზოგიერთი ამათგანი დღესაც მუყაითად დასტრიალებს სკოლას.

ლების საზოგადოების გამგეობის აზრი, რომ „ისეთ მცირე რიცხოვან ერს, როგორც ჩვენ ვართ, არ ეპატიება მთელი ერის ერთი ნახევარის უმოქმედობა საზოგადო ასპარეზზე... ქართველმა კაცმა სხვებზე ადრე უნდა შეიგებას ქალი ცხოვრების უღელში... დროზე მოვიშველიოთ ქალი“, აღვზარდოთ იგი ეროვნულ ნიადაგზე და ერში მასწავლებლად გავგზავნოთ, ვინაიდან—„მხოლოდ ჩვენს ტიბაკონზე აღზრდილი მასწავლებელი შესძლებს რამდენიმედ მაინც შეასუსტოს გადაგვარებული ხასიათი დღევანდელი სკოლისა... („დედათა ქართული საოსტატო სემინარია“)

ნივთიერის მხრით „განათლების“ სკოლა ჯერ კიდევ ვერ არის სანუგეშო მდგომარეობაში. მართალია ამ საზოგადოებას აქვს საკუთარი სახლი და ქველმოქმედმა ს. ქ. კიპ. რიზოვმა თვისი უხვი შეწირულებით (სახლი 40,000 მან. ღირებული) ამ საზოგადოებას მკვიდრი საფუძველი ჩაუგდო, მაგრამ სასწავლებლის რიგიან ნიადაგზე დასმყარებლად ჯერ კიდევ თვალსაჩინო თანხაა საჭირო, რომ იგი პირნათლად გაუძღვეს ქართველ ქალთა პირველ სკოლას და ჩვენის ერის დაწინაურების საქმეს საუკეთესოდ მომზადებულნი მასწავლებელნი აღუზარდოს...

განსაკუთრებით ჩვენმა საფინანსო და სხვა საზოგადოებათ უნდა წაახმარონ თვისი ხელი: მოუკლონ იმ სასწავლებელთ, რომლებიც მხოლოდ გადაგვარებულ შვილებს, უბრალო მოხელეებს ანუ მოცუნცრუკე, სულით და გულით გადაშენების გზაზე შემდგარ ასულთ გვიზრდიან,—და რაც შეიძლება, დიდი დახმარება აღმოუჩინონ სწორედ იმ განათლების სკოლას—დედათა ქართულ საოსტატო სემინარიას,—რომელიც უნდა შეიქმნას ჩვენი ეროვნული თვითარსებობისა და გაძლიერების ლამპარი!..*)

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ის ქართველ ქალთა წრე, რომელმაც არარაისგან შეჰქმნა დიდი ეროვნულ-სახალხო-საგანმანათლებლო საქმე პირველი ქართული სკოლა, გაასკეცებულის ძალღონით იშრომებს ამ მართლა და ქართული განათლების სკოლის უზრუნველ საყოფელად*).

უსურვოთ წარმატება და სასახელო ღვაწლი ამ ჩვენი ბრწყინვალე მომავლის პირველ მერცხალს...

იოსებ არიმათიელი

ავი თვალი

ამბავი

ყბად აღებული—წყალ-წაღებულია.
ხალხური ანდაზა.

რასულა ყაბულაშვილი მეტად აბუებული ჰყავდა მთელს სოფელს. არც ჭირში, არც ლხინში იმას ახლოს არავინ გაიკარებდა ხოლმე; წვეულება იყო, ქორწილი, ქელეხი თუ სხვა რამ, იმისი ხსენება არსად იყო ხოლმე. მთელი სოფელი ერიდებოდა, ერიდებოდა კი არა უფრო ეშინოდა, ეზიზღებოდა, ეჯავრებოდა, თითქოს რაღაც გამოუთქმელს შიშს, გამოუთქმელს შეკრთომას გრძნობდა ხოლმე ყოველივე სოფლელი მის დანახვაზე.

ბებერი, სახე დაღრეჯილი, უკვე წელში მოხრილი, მთლად ჭაღარა, თვალებ ჩაწირპლებული დამოღუშული, უფრო საცოდავს, შესაბრალის არსებას წარმოადგენდა, ვიდრე საშიშარსა და საზარელს რასმეს. მეტადრე სახე ისე ჩამოსტიროდა, ისე ჩამოწირპლოდა, ისე ჩასცვივნოდა პატარა თვალები და ისე დაღაროდა და დანაოჭებოდა სახე, რომ კაცს უნდა შებრალებოდა ის და არა შეშინებოდა და საზარლობა ეგრძნო მის დანახვაზე.

*) თბილისის გუბერნიის თავ.-აზნაურობამ ამ სემინარიის შესანახავად სამასი თუმნის ძლევა გადასწყვიტა (წინად ას ას თუმანს აძლევდა წლიურად). ქალაქ ს გამგეობა აძლევს 300 მან. ეკ. ივ. სარაჯიშვილისა—200 მან. „ახალი კლუბი“—400 მ. (ხან მეტ-ნაკლებს) ი. ს. გოგებაშვილის ანდერძით —190 მ. ერთდროულად შეუწირავთ — კნ. ს. დიასამიძისას (ანდერძით) 100 მ., ქალ. საკრ. ბანკს—75 მ., სტ. ელიაძეს—50 მ. ბატ. კუზანოვს—62 მ. და სხ.

**) ამ ჟამად სა კოლო კომიტეტში შემდეგი პირნი ირიცხებიან: ანასტასია მიხ. თუმ.-ერეთლისა (თავმჯდ.), ეკ. გრ. მესხისა, ანნა იაკ. პავლიაშვილი-თიკანაძისა, ვერა დავ. ქართველიშვილი-მიქაბერიძისა, კნ. ალექსანდრა ალექს. ფალავასი, ეფროსინე ჭიჭინაძისა. ბ-ნნი: იაკობ სიმ. ზედგინიძე, გერასიმე იმნა შვილი; კანდიდატები—მარ. მიხ. ღოღობერიძისა და პელ. მიხ სარაჯიშვილისა.

მაგრამ საქმე შეხედულება არ იყო. რასულს სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც ავი თვალის პატრონს და ეს საკმარისი საბუთი იყო, რომ სძულებოდა იგი მთელს სოფელს. სწამდა, სჯეროდა მთელს სოფელს, რომ რასულას ისეთი თვალი აქვს, რომ თუ ვისმე სცა, მაშინვე ვინმე უნდა მოკვდეს, წახდეს, გადაიჩეხოს და სხვ.

რასულას მეზობელმა, ამობენ სოფლელები, ერთხელ კარგი გასუქებული ხარ-კამეჩი იყი. და ბაზარში და სახლში რომ მიერეკებოდა იმ დროს რასულა შეხეჩებოდა და შეჰნატერია: რა კარგი კამეჩი გიყიდნია და თანაც რა იაფადო. მეორე დღეს კამეჩი მკვდარი დახვედროდა ბაკში პატრონს. რასულას თავისი ცხენი მწყემსისათვის მიებარებინა მთაში შესანახად, ორის თვის შემდეგ წასულიყო მთაში სანახავად და რომ ენახა მწყემსის ცხენიც, რომელიც რასულას ცხენზე მეტად გასუქებულიყო, შეენატრა: — ოჰ, რა კარგად გასუქებულა შენი ცხენი, ჩემი კი რასა ჰგავს.

არ გასულა რამდენიმე საათი მწყემსის ცხენი კლდიდან გადაჩეხილა და მომკვდარა. ბასულა ერთხელ სხვა სოფელში სტუმრად ყოფილა, მასპინძელს თაფლი უპმევნია, მოსწონებია თაფლი, უქია მასპინძელი და რომ გამოსულა სახლიდან, გადუხედნია სკებისათვის ეზოში და უთქვამს:

— ოჰ, რა მშვენიერი სკებია და რა მშვენიერი თაფლი სკოდნია აქაურობაში.

იმავ წელიწადს მთლად ამობუგვია და გასწყდომია ფუტკარი გულუხვ მასპინძელს.

ერთიკაცისოფლის განაპირას სახლს აშენებდა, კარისა და ფანჯრის ჩარჩოები უკვე ჩაყრილი ჰქონდა, რომ რასულა მისულა და ლაპარაკი დაუწყვია სახლის პატრონთან:

— რა კარგს ადგილასა სდგავ სახლს, მშვენიერი და მომხიბლავი გადასახედია აქედგან.

არ გასულა ორი საათი რასულას წასვლის შემდეგ, რომ წინა კედელი მთლად ჩამოინგრა და კარ-ფანჯარის ჩარჩოები აქეთ-იქით გადაცვივდ-გადმოცვივდა. რასულა გზას ყარაულად იყო. ერთ ბეგი ცხენით ზევიდამ მოდიოდა, რასულა მიესალმა და ჰკითხა: — „ბეგო რა კარგი ცხენი შეგიძენია, ნეტავი ვიცოდე რა მიგიციაო. ბეგმა სამაგიეროდ სალამი მისცა და გამოელაპარაკა არ გაუვლია რამდენიმე საჟენის მანძილი, რომ ძეგი ცხენიდან გადმოვარდნილა თავი გაუტეხნია და წაქცეულს ცხენსაც ფეხი მოსტეხნია. რასულა ამა და ამ კაცთან სტუმრად იყო, მასპინძლის სახლში სპილენძისა და ქაშანურის კარგი ჭურჭელი თაროზე ლაგებია, რასულას თვალი უცია და გამოსულა თუ არა იმ სახლიდან, მაშინვე ჭურჭელი ბრახა-ბრუხით ჩამოცვივნულა ძირსა და ქაშანური ჭურჭელი მთლად დამსხვრეულა.

მრავალჯერ მრავალს ამგვარს ამბებს ამბობდნენ სოფლელები რასულას შესახებ და ყველა ამას ისეთის დაბეჯითებით, ისეთის დარწმუნებით იმეორებდნენ, რომ ყოვლად ურწმუნო თომასაც დააჯერებდნენ ამის სინამდვილეში.

რასულა კარგადა გრძნობდა სოფლელების ძულვარებას. იცოდა, რომ რაც-კი რამ უბედურება ხდებოდა სოფელში იმას აბრალებდნენ, თუმცა ის სრული უდანაშაულო იყო ყველა ბრალდებაში. მაგრამ რას იზავდა, სად წასულიყო, რა წყალში გადავარდნილიყო, უნდოდა შეეკრიბნა სოფლები, გამოეცხადებინა, აეხსნა იმათთვის, რომ იგი უდანაშაულო იყო, რომ იმას სრულიად არაფერი დამოკიდებულება ჰქონდა ყველა იმ უბედურებასთან, რასაც მას აბრალებდნენ. მაგრამ ამაო იყო, იმას სალაპარაკოდაც არავინ იკარებდა, არამც თუ საჯაროდ გამოსულს ყურს დაუგდებდა ვინმე. რომ მართლა გამოსულიყო და თავის მართლება დაეწყო საჯაროდ ვინ იცის გაბრაზებული ცრუ-მორწმუნე სოფელი რას უზავდა, ვინ იცის ცოცხალიც ველარ წასულიყო იქიდან. ერთხელვე მისი თვისების ბოროტებაში დაჯერებულს და დარწმუნებულს სოფელს აზრსა და რწმენას ვერ გამოაცვლევინებდა, ვერ შეურყევდა.

ბევრ სცდილობდა რასულია რამე ნაირად მოშორებოდა სოფელს, სადმე წასულიყო დროებით მაინც, სოფლის საყვედურისა დაწყევლისაგან ამოსულიყო და თვალით აღარ დანახვებოდა იქაურობას. **ზ. ედილი**

(გაგრძელება იქნება.)

იჭვნეული ანგელოზი

ღამე ცაში ფრინავდა ანგელოზი მტირალი,
მოსთქვამდა და ჰგოდებდა დაბლა გადმოშხირალი;
ჟამთა დენამ შესცვალა სული ხორციელისა,
ბნელის მეფედ მიიღო მეფე სასუფევლისა,
და რად არის ეს ასე? რად სდუმს ძალთა ცისკარი?
რისთვისაა დემონიც ღმერთან დაუვიწყარი?

—

ცას არ აკრთობს, არ ზარავს კვნესა განწირულისა,
ლოცვის ნაცვლად ეკმევა მდუღარს წყევა სულისა,
შეიცვალა სოფელი, შეიცვალა—თავადა.
ადამიანის სული ძებნითაა ავადა...

—

ბილწებელი იმარჯვებს დაძლეული მძნევლი,
არ არსებობს წმიდანი, აღარც კათაკმეველი.
დაიჩრდილა ღვთაების დიდი საკურთხეველი
სისხლის ნამით მოირწყო მთა-ბარი და ტყე-ველი...

—

ჯოჯოხეთის ვნებანი მრწამსდა აქვს სოფელსა,
იჭვი უძღვის წინ ლამპრად ყველა უარმყოფელსა,
და რად არის ეს ასე? რად სდუმს ძალთა ცისკარი?
რისთვისაა დემონიც ღმერთთან დაუვიწყარი?

კიკნა—ფშაველი

ღამის მგოსანი

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ 28—34)

— „ქალი არა მარტო ღვთის ქმნილებაა, არამედ კიდევ უფრო მამაკაცისაო“ სთქვა აღმოსავლეთის მზიურმა სიტყვამ რაბინდრანათ თაგორმა: „მამაკაცის ოცნებამ შეჰბურვა თვის ელვარებით ქალის უმანკო სიყმაწვილე, და იგიც ნახევრად ქალია, ნახევრად კი ოცნებაო“.

ეს ნათქვამი ყველაზე უფრო ტაბიძის სულს ენათესავება; ქალის მშვენიერი სახე მისი აზრით მხოლოდ მგოსანთ და მხატვართ ფანტაზიის შემოქმედებაა. და ქალი მის პოეზიაში დღიურ სიცხადის და ტლანქ სინამდვილის ელფერს კი არ ატარებს, არამედ მგოსნის მიერ „გარდაქმნილ“ ოცნებას. მან უარყო ქალის ემპირიული სახე და მხოლოდ მის ლანდს, თვით მგოსანმა მისცა სხეული, სახე მისა შემოსა თვისი ხატებით და მკერდი მისი ააჩქროდა თვისი სევდით დატვირთულ სიმების ხმაზე და ქალიც მის წინაშე წარსდგა, როგორც მგოსნის მიერ შექმნილი ნამდვილი რეალობა.

„ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო,
მე იმგვარად გარდაგქმენი,
რომ მეგონა თუ ხორცსმული
იყო ლანდი იგი შენი“.

ტაბიძის საკაცობრიო სევდას შეეთვისი ფორმა შეეფერებაო, სთქვა იგ. გომართელმა და იგი ნათქვამი მართალია; მხოლოდ საკითხია, რად არ მოგვცა მგოსანმა წარმტაცი ფორმა თვისი ლექსებისა. რად ვერ ჩააცვა შესაფერი სამოსი თვის ნაზ სულს და მძაფერ სევდას? მიზეზი ამისა უფრო შინაგანია, ვიდრე გარეგანი, იგი უფრო ღრმაა, ინტიმიური,-ვინემ ზერელი და აშკარა. მგოსანი თუმც მძაფრად განიცდის, მაგრამ ბუნდოვანად გრძნობს. ცხოვრების უდრან ტყეში იგი ცალ-ცალკე ხეებს ვერ ამჩნევს; მგოსანი შედის ამ სიბნელეში, მაგრამ ხელთ ძლიერი პატრუქი არა აქვს, რომ

სინათლე შეიტანოს, იგი ჯერ კიდევ ქაოსს ებრძვის და მასში ნათელი და მკვეთრი სილუეტები ვერ შეაქვს; და რასაც ადამიანი ქაოტიურად გრძნობს, მას ბუნდოვანად გამოსახავს, სიტყვა მხოლოდ გარკვეულ შემეცნებასთან ერთად იშობა ისე-კი მგოსანი, მხოლოდ ტანჯვას განიცდის, ნაგრძნობის გამოუთქმელობით და დუმილში აღრჩობს თვის მწუხარე სევდას ტაბიძე აღწევს ძლიერებას ფორმის მხრივ, არა მაშინ, როცა ის თვის სუბიექტიურ ნაგრძნობს გადმოგვცემს, არამედ მაშინ, როცა ის გაგებულს ხატავს. ეს ორი თვისება შემოქმედებისა კი სულ სხვა და სხვაა; პირველ შემთხვევაში მგოსანი უფრო გადმოგვცემს თავის შინაგან ნაგრძნობს, მეორეში კი უფრო ასწერს, გვიხატავს დანაკვირვებს და აზრის ჩარხზე დარკვეულს ასურათებს ეპიურად. აქვე აიხსნება ის საკითხიც, თუ რატომ მგოსანი ძლიერია ეპიურ ლექსებში; აქ იგი, არა თუ მარტო გრძნობს და განიცდის, არამედ კიდევ უფრო იგებს, უკვირდება: ობიექტიურ მოვლენას განჭვრეტით უყურებს, და ეს კი უფრო ნათლად აქვს წარმოდგენილი მგოსანს და იგიც ლადად მეტყველებს, ნათელ და გარკვეულ კონტურებს გვიხატავს. ასეთია ლექსები; "ხელოვნება„, "ქალი და ხელოვნება", "სიყვარული და ხელოვნება", „მე და ღამე" და სხვა...

მგოსანი ჯერ ნორჩი კუკურია, რომელსაც შუადღის მცხუნვარე სხივები არ მოხვედრია და მრწამს, რომ მგოსანი ფართედ გაიშლება, ღრმად ჩახედავს მსოფლიო საიდუმლოებას. მისი სული. ღელვასა და მოძრაობას მოუმატებს, თვის ქაოტიურ ნაგრძნობს აზრის ჩარხზე დაარხევს; და მაშინ იქნება მისი ლექსი ღრმა ზღვასავით და მსუბუქი ეთერივით, მწუხარე გაზაფხულის ვაზივით და მწველი ცეცხლივით და დასტკბება მგოსანი მზერით თვისი ლექსისა და იგიც იგრძნობს თვის ძლიერებას.

მიხ. აბრამიშვილი

"განათლებულნი"

ვერა! ვერა! პოსლუშაი, იდიომ ვ ტეატრ სევოდნია? შეეკითხა მხიარული შურა ბულვარში მოსეირნე თავის ამხანაგს: თუ შენ წამოხვალ, განაგრძო მანვე ტაგდა ია ტოჟე რეშილა-მი პაიტტ.

— "არ ვიცი, უპასუხა ვერამ: ესლი მამა პუსტიტ, მაშინ ნეპრემენნო პაიდუ.

— კაკაია ტი ბეზსოვესტნაია,— ვერა მე როდესაც მინდა ხოლმე თიატრში წასვლა. ტი ნიკოგდა ნე იდიოშ ს ამნოი;

კარგი ეხლა ჩტო ბილობილო,—პოსტარაისა, ტეპერ რომ წამოხვიდე, იქ იქნება: კოლია, საშა, ვალიკო..· პრავდა, ვალიკო ობეჩალ მე, რომ სოხუმიდან ჩამოსულ ყმაწვილს გაგაცნობო; ოკაზივაეტსა—ონ ტაკოი სლავნი, სიმპატიჩნი, რომ მის ნახვას არაფერი სჯობია"-

— შურა! რაზ ტაკ, მე დედას შევეხვეწები და ნეპრემენო პუსტიტ ვსიო ხარაშო, მაგრამ გეომეტრიაში რომ დალჟნა ატვეჩატ ჩეტვერტ კონჩაეტსა და მე არაფერში არ ვარ გაძახცბული.

— „მაგაზე ნუ ჯავრობ, უპასუხა შურამ მაინც ნე სპროსიატ.—

ვერაც დაიმედებული იმით, რომ ხვალ არ გაიძახებენ, დედის ნებართვით, მიდის თეატრში უფრო იმ მიზნით, რომ გაიცნოს სოხუმიდან ჩამოსული ყმაწვილი.

შალილაძე

ქართული სახიობა

ს. გურჯაანში ადგილობრივმა ინტელიგენციამ კნ. ეფემია აბაშიძის მეთაურობით აქაურ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ განიზრახა, რომ 2 აგვ. ქართული წარმოდგენა გაემართა ელ. ანდრონიკაშვილის და მაღვა დადიანის მონაწილეობით, მაგრამ სახელოვან ვაჟას გარდაცვალების გამო წარმოდგენა გადაიდო 8 აგვისტოსთვის. რვას კი ისეთი კოკისპირული წვიმა დაუშვა, სწორედ სადამოსთვის, რომ ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა წარმოდგენის გამართვა ასე ყოველი მხრით დაბრკოლებული წარმოდგენა მაინც შესდგა კვირას, 9 აგვისტოს დაესწრო დიდძალი ადგილობრივი გლეხობა. მართალია თვით ამ წარმოდგენის დროსაც ხშირად წამოშხუმპლავდა ხოლმე, მაგრამ დამსწრე საზოგადოებამ მაინც მოისურვა წარმოდგენის ბოლომდე მოსმენა და პიესის აღმასრულებელთაც გულ-

მოდგინედ შეასრულეს საერთო წადილი როგორც მცოდნენი ამბობდენ, დიდძალი საზოგადოება აპირებდა ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსვლას ამ წარმოდგენისათვის და მიუხედავად ასეთი ამინდისა მაგ თელავიდან მაინც ჩამოვიდნენ სტუმრები, მაგრამ რადგან მხოლოდ იაფ ფასიანი ბილეთები გასაღდა, ამისათვის შემოსავალმა მხოლოდ 170 მ-მდე ააღწია, ხარჯები კი შედარებით დიდი იყო, რადგან სოფლად სცენის დადგმას, მოწყობას, მუშა ხელს და სხვა წვრილმანს გარგა ხარჯი მოსდევს ხოლმე ასე რომ როგორც გვითხრეს, ერთი 25—30 მ. ზარალი მოუვათ წარმოდგენის მეთაურთ, მაგრამ სანუგეშოთ ის უნდა ჩაითვალოს რომ საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა გამართულ წარმოდგენით.

წარმოადგინეს „შენი ჭირიმე" დადიანისა და ვოდევილ-მონოლოგი „ოცი ათასი თუმანი". წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ზემოდასახელებულ მსახიობთ გარდა ადგილობრივი სცენის მოყვარენი ქნი სოფ. აბაშიძის ასული, ბბ. გ. სარაჯიშვილი და ღ. და გ. კარბელაშვილები.

წარმოდგენის დაწყებამდე ივ. კარბელაშვილმა შინაარსიანი და მოკლე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულ ვაჟას შესახებ და შემდეგ ადგილობრივმა ხორომ ბ. ლევან ბუდაღაშვილის ლოტბარობით რამდენიმე დროის შესაფერი საგალობელი შეასრულა. აღსანიშნავია რომ ხოროში სულ ადგილობრივი გლეხია ახალგაზრდობა ღებულობს მონაწილეობას და ძლიერ ხმაშეწყობილადაც მღერის.

სხვათა შორის ამავ წარმოდგენაზე ხელახლა აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად აფერხებს სოფელში უამინდობა წარმოდგენის საქმეს, გამოითქვა სურვილი, რომ მომავალისთვის გურჯაანში აშენდეს სახალხო თეატრი. ამ მიზნის განსახორციელებლად ადგილობრივმა მემამულემ **თ-მა ლევან (ლელო) აბელის ძე ანდრონიკაშვილმა** საჯაროდ განაცხადა, რომ იგი თავის მამულიდან ს. გურჯაანში კანონიერის წესით მსახიობქალს ელო ანდრონიკაშვილს გადასცემს ახლო მომავალში ნახევარ დესეტინა ადგილს იმ პირობით, რომ ამ ადგილზე სოფლის შესაფერი თეატრი იქმნეს აგებული, რაიც დიდ მადლობით მიღებულ იქმნა მსახიობ ქალისა და დამსწრე საზოგადოების მიერ,

დამსწრე

ღ. სურამში სამშაბათ 18 აგვისტოს ვასო აბაშიძეს მონაწილეობა წარმოდგენილი იქმნა „სიძე-სიმამრი მიუხედავათ იმის რომ სეზონი მიიწურა და აგარაკიდან ხალხი დაიძრა, საზოგადოება მრავალი მოაწყდა წარმოდგენას. ვასოს მოხდენილ თამაშზე. ლაპარაკიც ზედმეტია. იგი შეუდარებელია მოხუც გენერლის როლში. ზარდალიშვილსაც არა უშავდა-რა ურიულს რომ არ უქცევდეს ხოლმე ლაპარაკში. ექიმი საყვარელიძის როლის საუცხოვოდ ჩაატარა ხოსბეროვმა; თამაშობდა თავისუფლად და მშვიდად. კარგი იყო აგრეთვე ქეთო კალიძისა (გენერლის უმცროსი ქალი). ყაჭეიშვილისა (ქეთო) არა უშავდა რა. ერთობ წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. ანტრაქტებიც დიდი არ იყო და წარმოდგენა ადრე გათავდა რაც ძალიან სასიამოვნოა.

მილოზი

მსახიობი ვასო აბაშიძე საგასტროლოდ ზემო ქართლს ეწვია ამ ორი კვირის წინად. პირველად ღ. ხაშურს ესტუმრა და მისი მონაწილეობით ხაშურსა და სურამში დაიდგა რამდენიმე წარმოდგენა: „სიძე სიმამრი," „ახირებულია", „მათიკო" და სხ.

23 აგვ. ხაშურის ქართ. დრამ. წრემ, ნიშნად ღრმა პატივისცემისა მსახიობს გაუმართა განსაკუთრებული წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი თვით ბ. აბაშიძეს გადაეცა. ითამაშეს: „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს" და „სუსტი მხარე". მსახიობმა თავისის მადლიანის თამაშით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. მონაწილეობდა მსახიობი ი. ზარდალიშვილიც. მეორე მოქმედების შემდეგ—ხაშ. ქარ. დრ. წრის გამგეობამ და სცენის მოყვარეებმა ბ. აბაშიძეს მისასალმებელის სიტყვებით მიჰმართეს და, ურთიერთ შორის შეგროვილი, კონვერტით ფული გადასცეს.

ნიკო გურული.

ტუაფსეს ქ. შ. წ. კ ს. განყოფილების გამგეობას დიდი ხანია ჰსურდა წარმოდგენების მართვა დაეწყო ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით, მაგრამ ეს ოცნება არ გამართლდა - გამგეობამ მიიძინა .. ეხლა სასურველი და საჭიროცაა ვინმე ითავებდეს ამ საქმის დაწყობას და მით საშუალებას მისცემდეს ტუაფსის ქართველებს, წელიწად-ნახევარში ერთჯერ მაინც დასტკბნენ ქართულ წარმოდენით.

სანდრო ხორგელი

ღ. ხაშურში მოსე კვამლიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 15 წ. შესრულების აღსანიშნავად 16 აგვ. წარმოადგინეს „ბაიყუში", „თამარ ბატონიშვილი" (მეოთხე მოქ.) და „ტიმოთეს ლელვი". მობენეფისემ სამივე პიესაში თავისი როლები საუცხოვოდ შეასრულა, განსაკუთრებით ელიზბარის („თამ. ბატ.") „ტიმოთეს ლელვში" თვისი გლეხური კილოთი და

მიმიკით ბევრი აცინა დამსწრენი ტიპიური იყვნენ ვ. ხოზბერაშვილი (რატიანი), ნ. სიხარულიძე (გასპარა,—რომ არ აჩქარებულიყო-კი სჯობდა), ქ. კალაძე, რომელიც სცენაზე კი არ სთამაშობდა სცოცხლობდა (სუფლიორისკენ რომ არ ეცქირნა სჯობდა) ამათ მხარს უჭერდა თ. აფხაზიშვილისა (ელისაბედი). ბ-ნი სცენარიუსი ძლიერ აგვიანებდა მონაწილეთა სცენაზე შემოშვებას, რაც ცუდათ მოქმედებდა. მოქმედებათა შორის ნ. სიხარულიძემ ადრესი წაუკითხა მობენეფისეს და საათი მიართვა საჩუქრად.

საჭიროა აღინიშნოს. რომ მაღალი ფასები იყო დანიშნული და გარდა ამისა 1 მ. 25 კაპიკიანი ბილეთით შეიძლება პირველ მოქმედებაში გესარგებლნათ, შემდეგ კი თქვენს სკამს ველარ მიაგნებდით,

ალი-ძმია

სხვათა შორის

სირცხვილია ჰაერი მოიშხამა .. მოიშხამა ჩვენი საზოგადოებრ ვი ცხოვრება... სუნთქვა გაძნელდა ..

მიზეზი?

გაჩნდა ბანკის სადირექტორო ადგილი, ოც თუმნიანი ულუფა, და ჩვენი საზოგადოების მოწინავედ წოდებულ ინტელიგენტთ შორისაც გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, თითქო მთელი ჩვენი ერის ბედიღბალი დღევანდელ მძიმე ჟამს ამაზე იყოს დამოკიდებულიო...

კერძო კაცთა შეჯახებას ყურს ვინ უგდებდა, რომ ამ განხეთქილებაში საზოგადოებრივ აზროვნების შემქმელნიც—გაზეთების რედაქციებიც—არ ჩარეულიყვნენ...

დიაღ, ისინი, რომელნიც ჩვენის ბედკრული სამშობლოს წყლულთა გამთელებას უნდა ცდილობდენ. ერში უღალღეს, უკეთილშობილეს აზრებს ავრცელებდენ, შუღლსა და ღვარძლს სთესავენ...

სირცხვილია! **ექიმი შტოკმანი**

წვრილი ამბები

ქართ. დრამ. საზო.-ის გამგეობამ გასული კვირის კრებაზე, თავმჯდომარის თავ. ნ. დ. ერისთავის წინადადებით დაადგინა, თბილისის სახალხო თეატრებში (ავლაბრის, ნაძალადევის და სხ.) წარმოდგენების რიგიანად მართვას ხელი შეუწყოს ხსენებულ წრებთან მოლაპარაკება დაევალა გამგეობის წევრს ოსიკო ბარათაშვილს წარმოდგენებს გამართავს მსახიობთა ამხანაგობა, დრამ. საზ.-ის გამგეობის მეთვალყურეობით.

ქუთაისის დრამ. საზ-ის გამგეობის წევრი ა. მ. კრინიცკი გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რადგან დასის მოწვევა დიდ ხარჯებს ითხოვს—წელს ამხანაგობის შედგენას შეუწყობთ ხელს და სახალხო წარმოდგენებს გავმართავთო. შემოსავალს დასის მონაწილენი ამხანაგურად გაინაწილებენ.

ხარფუხის დრამ. წრის საქმე სწორედ ციციაანთ დავა გახდა. ერთი წელიწადია ქალაქის მამათა განკარგულებით ჩამოართვეს საიჯაროდ აღებული საქალაქო შენობა შიგ მოწყობილი სცენით. მთელი წლის დავის შემდეგ, წრის თავმჯდომარის გ. შათირიშვილის მეცადინეობით კავკასიის სამხედრო უფროსმა გენ. ვოლსკიმ ქალაქთა კავშირის რწმუნებულს მისწერა რომ ხსენებული შენობა წრისთვის ჩაებარებინათ, მაგრამ ქალაქის კავშირის რწმუნებულის თავ. ა. მ. არღუთინსკის განმარტებით გენ. ვოლსკიმ თვისი პირველი განკარგულება შეაჩერა. ახლა გ. შათირიშვილმა დასაბუთებული თხოვნა წარუდგინა გენ. ვოლსკის ჩვენი კანონიერი უფლებანი აღადგინეთო.

შალვა დადიანს ქიზიყში დაუკარგავს თავისი ხელთნაწერები პორტფელით. მპოვნელს სთხოვს წარუდგინოს, რაშიც ღირსეულ ჯილდოს მისცემს.

მსახ. ნ. დავითაშვილი. თბილის სჩამოვიდა.

ქართ. თეატრის ფონდისთვის 1) მუშნი დადიანმა შესწირა 5 მან. 2) თბილისის პრაპორშჩიკების სკოლაში კურსდამთავრებულმა 120 კაცმა 18 აგვ, ხელის მოწერით შეაგროვა 600 მ., რაიცა გადაეცა პრაპ. ჩიქვანიას დანიშნულებისამებრ გადასაცემათ; 3) ბაგრატ. თომ. ინასარიძემ—1 მ. ამანვე შესწირა 1 მ. აჭარლეპისთვის 1 მ აკაკის ფონდისთვის.)

ხაშურის სცენის ნოღვაწეს ვ. ხოზბერაშვილის სა'ცენო მოღვაწეობის პატივსაცემლად დღეს წარმოდგენილ იქნება „ამ დროის გმირები“.

სახალხო თეატრის სეზონი დაიწყება 6 ენკენისთვეს

ქართველ მაჰმადი ნ აჭარლების სასარგებლოდ. პეტროგრადში მყოფ ქართველებმა შემოსწირეს 24 მ. შემომწირველთა სახელი და გვარი: ერმილე ნათბილაძემ—5მ. ილ. გავაშელიშვილმა—4 მ., კოლა ფირცხალავამ—3 მ., ოროლი მანეთი: ზაქ. ჯიშკარიანმა და გრ. ლობჯანიძემ· თითო მანეთი: ჯარისკაცმა კოლა ჯოხონელიძემ, ვალ. ჯაფარიძემ, ჯარისკაცმა სერ. კოპალეიშვილმა, ფილ. ჯაფარიძემ, ნეს. ჯაფარიძემ, თედო საგანელიძემ, ალექ. გამყრელიძემ და იოს. ბეტანიშვილმა

ძლიერ მოხარული ვართ ქართველთ და აჭარელთ შორის კავშირისა, რომელნიც ნამდვილი, ქართველი ძმები არიან.

ძლიერ ვწუხვართ ქართველ მწერალ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებას.

ნაკოლოზ სარდიონის ძე ჯოხონელიძე

Дозволено Военной Цензурой

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

გამოვიდა და ისყიდება
სამზარეულო

„სორაპანის“ გამოცემა ქართული და ევროპიული ს:ჭმელების სრული

ყდით 1 ნ. 40 კ. მისამართი: Тифлисъ
Типогр. „Сорапань“ Мих. Спир. Гачечиладзе

ნომრები „ავროტრა“

ახლად შეკეთებული, საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)

ა ფ თ ი ა ქ ი
პროფესორის ა.ს. ახვლედიანისა
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

1 მაისიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ეურნალ-გაზეთების კანტორა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი „წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკი, 6.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული ვამოცება

ეშმაკის ეკმორკა

ეურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ე შ მ ა კ ი და თ ი ბ ვ ი ნ ა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. ბ. ბუკია.

თანამშრომლები: ალბერიანი, ბალაკაძე, ბერი, ეშმაკი, ოსკუნა, ბენტი, ვინეწარი, ვალდ, ზალიკოვი, ნოფუაფალხანარა, ანანიაშვ, ბიტლა, ფონ-ტეფლ, შ. ქაქაძე, შეკრდეხი, ჯალუბელი, ხუმარა და სხვ.

ეურნალის ფასი—1 წელი 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.

„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება ამოლოდ იუმორისტული შინარსის წერილები: ლეკსები, მოთხრობები, ზღაპრები, ანეკდოტები, ბარიდები, ბაცაცანები. ნაკვესები და სხ.

ეურ. დაიბეჭდება სხერთაშორისო ომის ილუსტრაციები.

ხელმოწერა სთხოვს ყველა თანამშრომლებს ბასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ С.П Таварткиладзе. Ольгинская 6, почт. ящ № 96 (ეშმაკის მათრახისთვის)

ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვა თა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად იზდიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, ოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შელავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.

ყოველ კვირეულ

ფასი

მიიღება 1915 წ. ნახევარი წლის ხელმოწერა

ყოველ კვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა.

ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

ფ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1თვ. 40 თეთრ ნომერი 10 კაპ.

ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდად. განცხადების ფასი: ორიგებით, ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-კომპანიონი ანნა იმედაშვილისა

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“